თინათინ ბაკურაძე

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვნია

,,სკოლის ასაკიდან უცხოეთში სწავლაზე ვოცნებობდი. კავკასიის უნივერსიტეტმა, რომელზეც თბილისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ უპირობოდ შევაჩერე არჩევანი, საჭირო ცოდნა და გამოცდილება შემძინა, რათა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე მეფიქრა და ოცნებები ამეხდინა. ეს მოტივაცია ჩემი მომავლისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა.

Erasmus+ ის გაცვლით პროგრამაში მეოთხე კურსიდან ჩავერთე. ერთის მხრივ, რთული გადაწყვეტილება იყო სამსახურს, აქაური გარემოს და მეგობრების 6 თვით დატოვება, მაგრამ კომფორტის გამო მიზნებზე უარს ვერ ვიტყოდი.

სლოვენიაში ჩასვლის დღიდანვე ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ევროპაში სწავლისას ჩემი თავი აღმოვაჩინე და ზუსტად მივხვდი, რა უნდა ვაკეთო ცხოვრებაში და რისთვის უნდა ვიბრძოლო. მივხვდი, რა ძალისხმევა არის საჭირო სამომავლოდ წარმატების მისაღწევად.

ადამიანები, რომლებიც იქ გავიცანი, დღემდე ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად რჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დაბრუნებიდან ცოტა დრო გავიდა, უკვე რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. არასდროს მეგონა, ამდენ საერთოს თუ ვიპოვიდი სრულიად განსხვავებული კულტურების წარმომადგენლებთან.

საინტერესო, პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, ახალი აღმოჩენები, მოგზაურობა მასპინძელ სლოვენიასა და მის ფარგლებს გარეთ, მრავალფეროვანი ადამიანების ახლოს გაცნობა და ახალი ქვეყნების აღმოჩენა ის დაუვიწყარი მოგონებებია, რომელიც არასდროს დამავიწყდება.

ვფიქრობ, მიღებული ცოდნა, აკადემიური პროგრესის მიღწევის უნარები და გამოცდილება აუცილებლად დამეხმარება სამომავლო წარმატებების გზის გავლაში.''